სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N -460919-1

24 სექტემბერი 2019 წელი

ქ. თეთრიწყარო

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქალაქ თეთრიწყაროს №1 საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის გიული ზაქაიძის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი ივანე ბეგიაშვილი პ/ნ 22001016706 (შემდგომში დაქირავებული), მცხოვრები ქალაქი თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N1, ბ.35. ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სკოლაში შემდეგი სახის სამუშაოს შესრულება: მოთიბავს ბალახს სკოლის ეზოს აღმოსავლეთი ნაწილსა და სამ სკვერში თავისი საწვავით და გაიტანს ნაგავსაყრელზე. (CPV.კოდი 90900000)

.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესასრულებელი სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 80-00 (ოთხმოცი) ლარს, გადასახადების ჩათვლით ხელშეკრულების ვადაში, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

3.მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესრულებული სამუშაო მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ჩაითვლება. შემსრულებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი.

4,1 მომსახურება განხორციელდება 2019 წლის 1 ოქტომბრამდე.
4.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2019 წლის 15 ოქტომბრამდე..

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი ვალდებულია სისტემატურად აწარმოოს კონტროლი სამუშაოების მიმდინარეობასა და ხარისხზე. ჩაურიცხოს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულების პირობების და ვადების დაცვით.
5.2 შემსრულებელი ვალდებულია აწარმოოს სამუშაოები სათანადო ხარისხით და თავისი ხარჯებით აღმოფხვრას მის მიერ შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილი დეფექტები. მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია ნორმების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება.
5.4 დაიცვას უსაფრთხოების წესები და გარემოსდაცვითი ნორმები.
5.5 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამოსწორება .

6 . ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სკოლის დირექტორი.

6.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების , აგრეთვე შესრულებელი სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.
6.3 ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით.
7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავის შეხედულებისამებრ აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებათა ზეგავლენისაგან.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

8.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს მხარეთა შეთანხმებით, ფორს-მაჟორული სიტუაციით. ხელშეკრულების ცალმხრივი დაღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 9. დავის გადაწყვეტა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში .

მუხლი 10. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
ქალაქ თეთრიწყაროს №1 საჯარო სკოლა
თამარ მეფის ქ №2
230804476
ა/ა GE40LB0121152935026000

დირექტორი
გიული ზაქაიძე

"შემსრულებელი"
ფიზიკური პირი : ივანე ბეგიაშვილი
თეთრიწყარო,თამარ მეფის ქ N1 ბ.35:

ა/ა GE91BG0000000103336764

ფიზიკური პირი
ივანე ბეგიაშვილი